საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №137

თბილისი „22“ 07 2019 წ.

„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადების დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N206 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ გამარჯვებულთა დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N206 ბრძანებით გამოცხადებული - „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ კონკურსის ფარგლებში რეგისტრირებული საკონკურსო განაცხადების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის N353 ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის 2019 წლის 02 ივლისის N1 და 2019 წლის 10 ივლისის N2 სხდომის ოქმების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2019 წლის 16 ივლისის N954060 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადების დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N206 ბრძანებით გამოცხადებული - კონკურსის „საქართველოს პროფესიული თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის“ გამარჯვებული პროექტები:

ა) სპექტაკლის „მაკბეთი“ საგასტროლო ტური ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში - სსიპ თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

ბ) რუსთაველის თეატრის გასტროლი ჩინეთში - სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

გ) მონაწილეობა ბელორუსის საერთაშორისო ფესტივალში და საგასტროლო ტურნე ბალტიისპირეთში - სსიპ მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

დ) სპექტაკლი „ქარიშხალი“- ახალი თეატრის დაბადება - ა(ა)იპ ახალგაზრდული ხელოვნების განვითარების ფონდი.

ე) გასტროლი ინდოეთსა და თურქეთში - სსიპ ფოთის ვ. გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

ვ) მოძრაობის თეატრი მინსკის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე - შპს „მოძრაობის თეატრის ივენთები“.

ზ) გასტროლი ლიეტუვას რესპუბლიკაში - სსიპ თბილისის გ. მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი.

თ) სპექტაკლი „რა მოხდა სამხეცეში“ - სსიპ თბილისის პ. ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტების დაწყების თარიღად განისაზღვროს არაუადრეს 2019 წლის პირველი აგვისტო.

3. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს 2019 წლის 22 ივლისისა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ბატიაშვილი